საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ინგუშური ენა

ინგუშური ენა, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახური ჯგუფის ენა. გავრცელებულია ძირითადად ჩაჩნეთში, ინგუშეთში, ნაზრანის, სუნჯისა და მალგობეკის, ასევე ჩრდ. ოსეთის მოსაზღვრე რ-ნებში.

ი. ე-თვის დამახასიათებელია ხმოვანთა შედარებით რთული და თანხმოვანთა მარტივი სისტემა. სპეციფიკურია ვ (

არსებით სახელებს აქვს ბრუნვის, რიცხვის კატეგორია. ზოგი ზედსართავი სახელი და 4-ის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი განარჩევს გრამატ. კლასს. ძირითადი ბრუნვებია სახ., ნათ., მიც., ერგატივი. ნათ. ბრუნვის ფორმას ემყარება ერგატივისა და სხვ. ბრუნვათა ფორმები.

ზმნა იუღლება გრამატ. კლასების მიხედვით. გამოიყოფა 4 (ვ, ᲦᲐ, ბ, დ) კლას-ნიშანი, რ-თა მიმართება მხ. და მრ. რიცხვში გვაძლევს ექვს ჯგუფს. გარდამავალი ზმნის სუბიექტი ერგატიულ ბრუნვაშია. ზმნას აქვს დროის, კილოს, რიცხვის კატეგორიები; საგარემოებო ფორმები. არის ნაზმნარი სახელები (მასდარი, მიმღეობა) და აბსოლუტივები.

წინადადების ძირითადი კონსტრუქციებია: ნომინატიური, დატიური, ერგატიული, პოსესიური და ლოკატიური. ჰიპოტაქსი არაა განვითარებული.

ი. ე-ის ლექსიკა შეიცავს როგორც საერთონახურ, ისე საკუთრივ ინგუშურ ძირებს. მრავლადაა ნასესხები სიტყვები რუს., ქართ., ოსური, სპარს., არაბ. ენებიდან.

ი. ე-ში არ გამოიყოფა დიალექტები. მცირე განსხვავება შეინიშნება ბარისა და მთის მცხოვრებთა მეტყველებაში. ი. ე. სამწერლობო ენაა. *სალიტ.* ენას საფუძვლად უდევს ბარის მცხოვრებთა მეტყველება. დამწერლობა შეიქმნა 1923, თავდაპირველად ლათ. გრაფიკის საფუძველზე. 1938-იდან შემოღებულია რუს. გრაფიკის საფუძველზე შემუშავებული ანბანი.

ლიტ.: ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი დ., ძირითადი და თანდებულიანი ბრუნვები ინგუშურსა და ჩაჩნურში, «ენიმკის მოამბე», 1942, ტ. 12; მ ი ს ი ვ ე, Система гласных и регрессивно-дистанционная их ассимиляция в чеченском и ингушском языках, «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული», 1974, [ტ.] 1; Д о л а к о в а Р. И., Ингушский язык, წგ.: Языки народов СССР, т. 4, М., 1967; М а л ь с а г о в З . К., Ингушская грамматика, Владикавказ, 1925; О з д о е в И. А., Синтаксис ингушского литературного языка (Простое предложение), Грозный, 1964; J o a n n a N i c h o l a s, Ingush Grammar, Berkley: University of California Press, 2010.

დ. იმნაიშვილი